



**პირველი სამუშაო ჯგუფის,
არჩევნების ქვეჯგუფის
შეხვედრის ოქმი**

თარიღი: 6 ოქტომბერი, 2017 წელი

დრო: 12:00 – 14:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია თბილისის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ელენა ფილეევა - კონსტიტუციის 42-ე მუხლი
4. ირმა პავლიაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
5. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
6. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
7. მერი კაპანაძე - დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
8. ნინო გვარამია - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

განსახილველი საკითხები:

- ქვეჯგუფის სამუშაო მეთოდების განსაზღვრა;
- ქვეჯგუფის კოორდინატორის არჩევა;
- პლატფორმის როლი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში;
- სხვა.

ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა ქალბატონმა მანანა ბიწაძე - მიქელაძემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

ჯგუფის კოორდინატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნული ქვეჯგუფი არის ინტერჯგუფური ქვეჯგუფი და მასში გაწევრიანება შეუძლია პლატფორმის ნებისმიერი ჯგუფის წევრს.

პირველად ქვეჯგუფმა განიხალა ქვეჯგუფის სამუშაო მეთოდების განსაზღვრის საკითხი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა წარადგინა წინადადება ქვეჯგუფის წევრებმა აქტიურად გაცვალონ მათ ხელთ არსებული ინფორმაციები, მათ შორის, როგორც მათ მიერ გამოკვეთილი დარღვევების, სასამართლო დავების, ასევე იმ ლოკაციების შესახებ, სადაც არჩევნებს აკვირდებიან, რომ არ მოხდეს ზონების გადაფარვა და ამასთანავე მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ოლქები მოიცვან. გარდა ამისა, გამოითქვა მოსაზრება, განცხადებების, მიმართვებისა თუ წერილების ფორმით ქვეჯგუფმა ერთიანად მოახდინოს რეაგირება სხვადასხვა გამოწვევებსა და დარღვევებზე, მათ შორის იმ გადაცდომებზე, რომლებიც არჩევნების პროცესში იქნება გამოვლენილი. ორგანიზაციის თავისუფალი არჩევანის წარმომადგენელმა, ასევე წარადგინა წინადადება პლატფორმამ ისარგებლოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნილი მედია ცენტრებით, რათა არჩევნების პერიოდში ჰქონდეთ ერთგვარი ტრიბუნა.

ამასთანავე, განისაზღვრა, რომ მნიშვნელოვანია ქვეჯგუფმა იმუშაოს კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხითაც და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე, აქტიურად ითანამშრომლოს, როგორც საქართველოში არსებულ საარჩევნო ინსტიტუტებთან, მემორანდუმებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმატების მეშვეობით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წევრ ორგანიზაციებთან.

პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ლიბერალური აკადემია თბილისის წარმომადგენელმა წარადგინა წინადადება არჩევნებზე პლატფორმის სახელით გაიგზავნოს დამკვირვებლები. რამდენდაც გრძელვადიანი დაკვირვების რესურსი პლატფორმას ამ ეტაპზე არ გააჩნია, დამკვირვებლები განაწილდნენ მხოლოდ არჩევნების დღეს, ხოლო შემდეგ მედია ცენტრის მეშვეობით პლატფორმის სახელით ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელმა ისაუბროს მონიტორინგის შედეგებზე. ასევე, მომზადდება ორი ორ-სამ გვერდიანი შეფასებითი ანგარიში. პირველი ანგარიში დაეყრდნობა უშუალოდ პლატფორმის დაკვირვების შედეგებს და შეაფასებს არჩევნების მიმდინარეობას, ხოლო მეორე ანგარიში მიემდგნება მთლიანად საარჩევნო პროცესს, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად დაედება პლატფორმის წევრი ორგანიზაციების ანგარიშები. ქვეჯგუფის წევრები დასთანხმდნენ აღნიშნულ ინიციატივას და მიიღეს გადაწყვეტილება სამდივნოს ეთხოვოს საინფორმაციო წერილი გაავრცელოს პლატფორმის სამუშაო Google ჯგუფში პლატფორმის სახელით სადამკვირვებლო მისიაში მსურველი ორგანიზაციების მოწვევის მიზნით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ მომზადებული აქვთ ტრენინგ მოდულები არჩევნებზე დამკვირვებელთათვის და გამოხატა მზაობა მათმა ორგანიზაციამ შერჩეულ დამკვირვებლებს ჩაუტაროს მცირე ტრენინგი.

შეხვედრის ბოლოს ქვეჯგუფის კოორდინატორად არჩეული იქნა დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელი, ქალბატონი მერი კაპანაძე.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.
შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.